საქართველოს სსრ საბჭ. რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. იანვრის 31. № 2 ცხილისი

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

7. 1935 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება

8. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისათვის თავისი პურის (ფქვილის, მარცვლის, გამომცხვარი პურის) როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე შეუფერხებლად მიყიდვის, ისე ქალაქის და სოფლის ბაზრებსა და რკინის გზის სადგურებზე გასასყიდად გატანის ნებართვის შესახებ.

9. საქართველოში 1935 წელს სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებისა და ვალდებულებათა მიცემის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

10. „კოლმეურნეობათათვის 1935 წლის იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე" არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების შესახებ.

კავშირგაბმულობა

11. სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზების დაზიანება-დანგრევასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

სისხლის სამართალი

12. სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) მე-2 და 12 მუხლების შეცვლის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

13. სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

7. დადგენილება ს.კ.ს.

1935 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობისა, კომუნალური მეურნეობისა, მიწათმოქმედებისა და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატებს, საქართველოს

სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს და აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა სხვა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ სამეურნეო დაწესებულებას და რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ცენტრს უზრუნველყონ თავიანთ სისტემებში 1935 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება იმ ვადებზე და ისეთი წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის დეკემბრის 19-ისა (კან. კრ. 1933 წ. № 73. მუხ. 445) და 1934 წ. დეკემბრის 14-ის (კან. კრ. 1934 წ. № 63, მუხ. 456) დადგენილებებით.

2. პასუხისმგებლობა სამეურნეო ხელშეკრულებათა თავის დროზე და სწორედ დადებისათვის დაეკისროს:

ა) საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს;

ბ) რაიონებში და ქალაქებში—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს;

გ) რესპუბლიკანური ქვემდებარეობის მეურნეობის ცალკეულ დარგებში—სათანადო სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ დაწესებულებათა და კოოპერატიულ სისტემათა ხელმძღვანელებს.

დაევალოს აღნიშნულ პირებს წარმოუდგინონ სახალხო კომისართა საბჭოს ყოველდეკადური აღრიცხვა ხელშეკრულებათა დადების მსვლელობის შესახებ ცენტრალური და სადარგო მაშტაბით.

3. ვინაიდან მასალებისა და გაწყობილობის შესახები გენერალური ხელშეკრულებების დადების ვადა თავდება 1935 წლის იანვრის 15-ს, დაევალოს ყველა სამეურნეო ორგანოს და, პირველ რიგში, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მომმარაგებელ ორგანოებს დაამთავრონ აღნიშნული ვადისათვის გენერალურ ხელშეკრულებათა დადება სათანადო საგამსაღებლო ორგანიზაციებთან.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან განწესებულ მთავარ არბიტრს:

ა) დააწესოს სისტემატური კონტროლი საუწყებო არბიტრაჟების მუშაობისათვის წინახელშეკრულებითი დავების განხილვის სფეროში და აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მათი არაჯეროვანი გადაწყვეტის ყველა შემთხვევა;

ბ) გამოყოს სპეციალური არბიტრი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში შემოსული წინახელშეკრულებითი დავების განსახილველად და უზრუნველყოს ამ დავების განხილვა 5 დღის ვადაზე მათი შემოსვლის დღიდან.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ სკს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 4. № 16.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 16 №-ში 1935 წ. იანვრის 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დადგენილება. ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც. კ.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა, კოლმნურნეებისა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებისათვის თავისი პურის (ფქვილის, მარცვლის, გამომცხვარი პურის) როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე შეუფერხებლად მიყიდვის, ისე ქალაქის და სოფლის ბაზრებსა და რკინის გზის სადგურებზე გასასყიდად გატანის ნებართვის შესახებ.

პურის ჩაბარების დაწესებული წლიური გეგმის შესრულებასთან და საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მთლიანად უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 31 დეკემბრის დადგენილებათა საფუძველზე, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ნება მიეცეს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს აწარმოონ საქართველოს ტერიტორიაზე თავისი პურის (ფქვილის, მარცვლის, გამომცხვარი პურის) შეუფერხებლად მიყიდვა როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის, ისე გასასყიდად გატანა ქალაქისა და სოფლის ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. იანვრის 1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 2 №-ში 1935 წ. იანვრის 2.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

8/157

---

9. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც. კ.

საქართველოში 1935 წელს სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარებისა და ვალდებულებათა მიცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დატოვებულ იქნეს 1935 წლისათვის 1934 წელს მოქმედი რაიონობითი ნორმები რძის სავალდებულო ჩაბარებისა კოლმეურნეებისა, საკოლმეურნეო კომლებისა—სარძეო-სასაქონლო ფერმების არ მქონე კოლმეურნეობებში, ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისა და კულაკური მეურნეობების მიერ.

2. 1934 წელს არსებული წესის შესაცვლელად, იმ კოლმეურნეობათა წევრებისათვის, რომელთაც აქვთ სარძეო-სასაქონლო ფერმები, განსაკუთრებული ნორმები არ დაწესდება. მათთვის ვალდებულებანი გამოანგარიშებულ უნდა იქნენ იმ ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია კოლმეურნეებისათვის სასაქონ-

ლო ფერმების არმქონე კოლმეურნეობებში. სარძეო-სასაქონლო ფერმების მქონე კოლმეურნეობების წევრებს მიენიჭოთ შეღავათი ფერმის მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული რძის რაოდენობის 15%-ის მონაკლების სახით, ამ მონაკლების ჩათვლით კოლმეურნეთა პირადი ვალდებულებების შესრულების ანგარიშში.

3. დადასტურებულ იქნეს 1935 წლისათვის სრული განთავისუფლება რძის ჩაბარებისაგან ადიგენის, ასპინძის, ხულოს, ქედის, ქვემო-სვანეთისა და ზემო-სვანეთის რაიონებისა და დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოებისა.

4. საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის მე 8 მუხლის თანახმად განთავისუფლებულ იქნეს რძის ჩაბარებისაგან აჭარისტანის ქურთ-ხემშინების მომთაბარე მესაქონლე მოსახლეობა და აგრეთვე კოლმეურნეობათა მომთაბარე მესაქონლე მოსახლეობა იმ რაიონების სასოფლო საბჭოებში, სადაც არის მომთაბარე მოსახლეობა.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ერთი დეკადის ვადაზე წარუდგინონ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად იმ რაიონებისა და სასოფლო საბჭოების სია, სადაც არის მომთაბარე მოსახლეობა, მისი რიცხვის აღნიშვნით.

5. დაწესებულ იქნეს, რომ სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარება ვრცელდება ყველა ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობაზე და საკოლმეურნეო კომლზე, რომელსაც ჰყავს ძროხა (მათ შორის ბერწი და 1935 წ. პირველი ნახევრის პირველ-ხბოიანი ძროხა) და ფურ-კამეჩი 1934 წ. ნოემბრის 1-ისათვის არსებული რიცხვის მიხედვით, გარდა ახალციხის, ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, ვანის, ბაღდადის, ზესტაფონის, ჩხარის, ჭიათურის, ხორაგოულის, ტყიბულის, მარტვილის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და ფოთის რაიონებისა და აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკებისა, სადაც ბერწი ძროხები არ დაიბეგრება.

6. წინადადება მიეცეს პარტიის ყველა რაიონულ კომიტეტს და ყველა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს არა უგვიანეს იანვრის 5-ისა შეადგინონ რძის ჩამბარებელთა სახელობითი სიები და იანვრის 10-ისათვის ჩააბარონ მათ ვალდებულებანი.

7. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა 1935 წლის იანვრის 20-დან თებერვლის 5-მდე უნდა შეამოწმონ საკოლმეურნეო კომლებისათვის და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის ვალდებულებათა ჩაბარების სისწორე და აგრეთვე რძის ჩაბარებისაგან მეურნეობათა განთავისუფლების სისწორე და შემოწმების შედეგები არა უგვიანეს თებერვლის 10-ისა აცნობონ სახალხო კომისართა საბჭოს, იმ მეურნეობათა რიცხვის აღნიშვნით, რომელთაც ფაქტიურად ჩაბარებული აქვთ ვალდებულება, და ჩაბარებულ

ვალდებულებათა ჯამის აღნიშვნით რაიონებისა და ჩამბარებელთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

8. სსრ კავშირის საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ რძის ჩაბარების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის ცხოვრებაში განხორციელება დაევალოს საჭამადო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ინსპექციის სისტემას საქართველოში, ცეკავშირს და აფკავშირს.

9. სსრ კავშირის მიერ სახელმწიფოსათვის რძის სავალდებულო ჩაბარების შესახებ გამოცემული დადგენილების განხორციელებისათვის კონტროლის გაწევა დაეკისროს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოში და მის რწმუნებულებს აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში.

10. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოში, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მისცეს ადგილებს განმარტება ფურ-კამეჩის შესახები ვალდებულებების სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. იანვრის 1.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 4 № ში 1935 წ. იანვრის 4.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

10. დადგენილება ს.კ.ს.

„კოლმეურნეობათათვის 1935 წლის იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე" არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ცხოვრებაში გატარების შესახებ.

„კოლმეურნეობათათვის 1933 წ. იანვრის 1-მდე გაცემული სასოფლო-სამეურნეო სესხის დავალიანების ჩამოწერის თაობაზე" არსებული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. დეკემბრის 23-ის დადგენილების („იზვესტია" 1934 წ. დეკემბრის 24-ისა, № 300) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის დავალიანება, რომელიც ჰქონდათ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიმართ 1933 წლის 1-ლ იანვრამდე მიღებული სესხის გამო და რომელიც ჩამოეწერათ მათ სახელმწიფო საფინანსო დახმარების აღმოჩენის მიზნით—საერთო თანხით 19.947.000 მან., განაწილებულ იქნეს საქართველოს სსრ-ში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ავტონომიურ ოლქსა და რაიონებს შორის შემდეგნაირად:

აფხაზეთის ასსრ	3.545.128	მან.
აჭარისტანის ასსრ	1.053.184	„
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	123.376	„
ახალქალაქის რაიონი	175.288	„
ბოგდანოვკის „	113.918	„
ახალციხის „	106.474	„
ასპინძის „	41.075	„
ადიგენის „	9.000	„
სტალინისის „	39.756	„
გორის „	217.313	„
კასპის „	75.000	„
ბორჯომის	58.095	„
გურჯაანის	196.017	„
სიღნაღის	303.052	„
თელავის	167.954	„
ყვარლის	101.540	„
ლაგოდეხის	326.000	„
ტფილისის	309.188	„
ყარაიას	69.000	„
ბორჩალოს	108.362	„
ლუქსემბურგის	11.530	„
წალკის	100.900	„
დუშეთის	42.171	„
აღბულახ-მანგლისის	187.000	„
საგარეჯოს	33.239	„
ბაშკიჩეთის	30.152	„
ყაზბეგის	32.415	„
თიანეთის	90.578	„
ქუთაისის	80.300	„
სამტრედიის	432.961	„
ხონის	231.938	„
ვანის	80.000	„
ბაღდადის	20.461	„
ზესტაფონის	48.288	„

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხარის	55.039	მან.
ჭიათურის	29.386	„
ტყიბულის	565.673	„
ონის	98.577	„
ენუქიძის	13.380	„
ცაგერის	107.000	„
ქვემო-სვანეთის	2.000	„
აბაშის	48.425	„
სენაკის	619.769	„
მარტვილის	667.770	„
ზუგდიდის	1.677.305	„
ხობის	206.105	„
წალენჯიხის	1.128.103	„
ჩხოროწყუს	550.000	„
მახარაძის	2.740.005	„
ლანჩხუთის	1.666.760	„
ჩოხატაურის	1.179.365	„
ფოთის	2.457	„
სულ საქართველოში	19.946.702	

2. დაევალოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ზემოაღნიშნული თანხების ფარგლებში თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა და რაიონისათვის დააზუსტონ და განსაზღვრონ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის სარაიონო ფილიალების წარდგენით, თვითეული კოლმეურნეობისათვის ჩამოსაწერი დავალიანების თანხა და სათანადო ცნობები წარმოუდგინონ საბოლოოდ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორის საშუალებით, 1935 წ. იანვრის 20-მდე.

3. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას გამოარკვიოს 1935 წლის იანვრის 25-მდე კოლმეურნეობათათვის ჩამოსაწერ სესხზე ფაქტიურად დარიცხული, მაგრამ ჯერ გადაუხდევინებელი პროცენტების საერთო ჯამი მთელი საქართველოს სსრ-ში და ეს ცნობები წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თვითეული რაიონისა, კოლმეურნეობისა და შემდეგ მთელი საქართველოს სსრ-ის მიხედვით ფაქტიურად ჩამოსაწერი დავალიანების დაზუსტებული თანხების შესახებ ცნობებთან ერთად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას ამა დადგენილებაში აღნიშნული დავალიანების ჩამოწერა დაამთავრონ თვითეული ცალკეული კოლმეურნეობის მიმართ არა უგვიანეს 1935 წლის თებერვლის 15-ისა და დაუბრუნონ

თვითეულ კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის თავის დროზე გაცემული სათანადო გრძელვადიანი ვალდებულება.

5. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობასთან ერთად გამოცემული ინსტრუქცია.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კონტორას დაუყოვნებლივ მიაწოდონ აღნიშნული ინსტრუქცია სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფილიალებს.

საქ სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 4. № 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 13 №-ში 1935 წ. იანვრის 14.

კავშირგაბმულობა

11. დადგენილება ს.კ.ს.

523
086

სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზების დაზიანება-დანგრევასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებანი სატელეგრაფო-სატელეფონო ხაზების დაზიანების წინააღმდეგ (მავთულებისა და ბოძების გატაცება, იზოლატორების დამტვრევა, ბოძების მოჭრა, მავთულების დაგლეჯა, ორგანიზაციათა მიერ მიწისქვეშ ჩატარებულ სამუშაოთა გამო ზიანის მიყენება და სხვ.), რასაც ხშირად აქვს ადგილი, და ამ მიზნით ჩაატარონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშობა აღნიშნულ დაზიანებათა მნიშვნელობის შესახებ და განუხრელად აცნობონ ხოლმე პროკურატურას თვითეული აღმოჩენილი ასეთი შემთხვევა, რათა დამნაშავენი მიცემულ იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით (სისხლის სამართლის კოდექსის 78, 58[9] მუხ. და 1932 წ. აგვისტოს 7-ის კანონი).

2. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარიატს უზრუნველყოს ამა დადგენილების 1-ლ პუნქტში აღნიშნულ დანაშაულთა გამო აღძრულ საქმეთა სწრაფი მსვლელობა და საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მიერ კანონის იმ მოთხოვნის შესრულება, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე აღძრული სამოქალაქო სარჩელის

უზრუნველყოფისათვის ღონისძიების მიღებას (სისხლის სამართლის საქმეების გამო წინასწარი გამოძიების წარმოების შესახები დროებითი წესების მე-13 მუხ.).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 4. № 6.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 8 №-ში 1935 წ. იანვრის 9.

სისხლის სამართალი

12. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ხ.

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) მე-2 და 12 მუხლების შეცვლის შესახებ.

„სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-2 და 12 მუხლების შეცვლის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 43 №-ი, მუხ. 335), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-2 და 12 მუხლები (სისხლის სამართლის კოდექსი—1933 წლის გამოცემა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ა) სამსახურის წესით გაცემული ბრძანების შეუსრულებლობა ისჯება
თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე;

ბ) იგივე დანაშაული, უკეთუ არის შემამსუბუქებელი გარემოებანი, გამოიწვევს
მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების შეფარდებას;

გ) იგივე დანაშაული, უკეთუ იგი დაჩენილია ჯგუფის მიერ ან თავმდგომთა შედგენილობის პირის მიერ, ან უკეთუ მას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა, ისჯება
თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა;

დ) იგივე დანაშაული, უკეთუ იგი ჩადენილია ომიანობის დროს, ისჯება
თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა, ხოლო უკეთუ არის დამამძიმებელი გარემოებანი,—სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით, მთელი ქონების კონფისკაციითურთ;

ე) იგივე დანაშაული, უკეთუ იგი ჩადენილია ბრძოლის პირობებში, ისჯება

სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით, მთელი ქონების კონფისკაციითურთ".

„12. ა) სამხედრო მსაბურის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება თავისთვის რაიმე ვნების მიყენებით, ან ავადმყოფობის სიმულაციით, ან ყალბი დოკუმენტის გაკეთებით, ან და სხვაგვარი იერყუებით, ისჯება

თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე;

ბ) იგივე დანაშაული, უკეთუ არის დამამძიმებელი გარემოებანი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ სამი წლისა;

გ) იგივე დანაშაული, უკეთუ იგი ჩადენილია ომიანობის დროს ან ბრძოლის პირობებში, ისჯება

სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით, მთელი ქონების კონფისკაციითურთ".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1935 წ. იანვრის 3.

ტ ფილისი,

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

13. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

086

სასამართლოში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვის წესის შესახებ.

სასამართლოს სხდომისათვის საქმეების რაც შეიძლება უკეთესად წინასწარ შემოწმებისა და მომზადების მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სასამართლოს ორგანოებში შეტანილი სისხლის სამართლის საქმეების წარმართვისათვის არსებული წესის შესაცვლელად, ვიდრე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გადაისინჯებოდეს, ადგენენ:

1. სასამართლოს ორგანოებში (საქართველოს სსრ-ისა და აჭარისტანის ასსრ: უზენაესი სასამართლოები, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი სასამართლო და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მთავარი სასამართლო, როდესაც ისინი მოქმედობენ პირველი ინსტანციის სახით, და სახალხო სასამართლოებში) „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი, წესების" 59 და 64 მუხლების წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-4 №-ი მუხ. 5[1]) შესული ყველა საქმე შეიტანება განმწესრიგებელ (მომმზადებელ) სხდომაზე შემდეგი შედგენილობით: უზენაეს (უმაღლეს, მთავარ) სასამართლოში—

სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და სასამართლოს ორი წევრი, ხოლო სახალხო სასამართლოში—სახალხო მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმწესრიგებელ სხდომაში სავალდებულოა იმ პროკურორის მონაწილეობა, რომელმაც დაამტკიცა საბრალმდებელო დასკვნა; ამასთანავე, იმ საქმეზე, რომელიც მიღებულია სახალხო სასამართლოში „სისხლის სამართლის საქმეთა გამო წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების“ 59 მუხლის წესისამებრ უშუალოდ გამომძიებლისაგან, პროკურორის ნაცვლად მონაწილეობას იღებს ის გამომძიებელი, რომელმაც დაამტკიცა საბრალმდებლო დასკვნა.

უზენაესი (უმაღლესი, მთავარი) სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის განკარგულებით, კუთვნილებისამებრ, განმწესრიგებელ სხდომაზე შეიძლება გამოწვეულ იქნეს აგრეთვე ბრალდებულიც, უკეთუ იგი იმყოფება სასამართლოს სამყოფელ ადგილას და მისი გამოწვევა საჭირო იქნება საქმის გარემოებათა მიხედვით; უკეთუ განმწესრიგებელი სხდომის მიერ განსახილველი საკითხების გამო შეტანილია ბრალდებულის განცხადება, ეს საკითხები, როგორც საერთო წესი, განხილულ უნდა იქნეს ბრალდებულის დაბარებით.

2. სასამართლოს განმწესრიგებელი (მომზადებელი) სხდომა იხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) სათანადო სისავსით არის, თუ არა, წარმოებული საქმის წინასწარი გამოძიება, და დაცულია, თუ არა, საგამომძიებლო ორგანოების მიერ სათანადო საპროცესო ნორმები;

ბ) საკმარისად არის, თუ არა, დასაბუთებული წაყენებული ბრალდება, და სწორედ არის, თუ არა, იგი ფორმულირებული;

გ) სწორედ არის, თუ არა, კვალიფიკაცირებული ბრალდებულის ქმედობა;

დ) შესაცვლელია, თუ არა, ბრალდებულის მიმართ მიღებული აღმკვეთი ღონისძიება;

ე) მიღებულია, თუ არა, სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოკვლევის წარმოების დროებითი წესების მე-13 და 14 მუხლების თანახმად, ღონისძიებანი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად და აგრეთვე განაჩენის აღსასრულებლად, უკეთუ დანაშაული იწვევს ქონების კონფისკაციას;

ვ) არის, თუ არა, საქმეში ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, და სად ინახება ეს საბუთები;

ზ) დასამატებელია, თუ არა, სამსჯავრო სხდომაზე დასაბარებელ პირთა სია (მოწმენი, ექსპერტები და სხვ.);

თ) სად უნდა იქნეს საქმე განხილული (გამსვლელ სესიაში, წარმოებაში, სადაც ჩადენილია დანაშაული და სხვა მისთ.).

მოხსენებას განმწესრიგებელ სხდომაზე წარადგენს: უზენაეს (უმაღლეს, მთავარ) სასამართლოში, შეძლებისამებრ, სასამართლოს ის წევრი, რომელმაც

შემდგომ უნდა ითავმჯდომაროს საქმეზე, ხოლო სახალხო სასამართლოში — მოთავმჯდომარე სახალხო მოსამართლე.

3. განმწესრიგებელ სხდომაზე საქმის განხილვისას სასამართლოს გადაწყვეტილებას დადგენილება:

ა) ან სამსჯავრო სხდომისათვის საქმის დანიშვნის შესახებ, ამა დადგენილების მე-2 მუხლის „დ", „ე", „ვ" „ზ" და „თ" პუნქტებში საკითხების გადაწყვეტით;

ბ) ან საქმის დამატებითი გამოძიებისათვის წარმართვის შესახებ, უკეთუ წინასწარი გამოძიება სრული არ არის და მისი შევსება სამსჯავრო სხდომაზე შეუძლებულია;

გ) ან საქმის მოსპობის შესახებ, უკეთუ ბრალდებულის იმ ქმედობაში, რაც მას ჰბრალდება, არ არის დანაშაულის შედგენილობა, ან საქმეში არ მოიპოვება საკმარისი სამხილებელი საბუთი ბრალდებულის წინააღმდეგ, და აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის დადგენილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს მხოლოდ ზედამხედველობის წესით.

სრ. საქ. ც.ა-კ-ს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოდგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ელენტი.**

1935 წ. იანვრის 3.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1934 წ. № 3. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 3/4 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.

ბადაეცა სტამბას 11/I; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I; ტირაჟი 1.700.

მთავლ. რწმ. ს.—№ 8702. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 82